

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2016 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N2 შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.08.47.030) ) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ (ს/ნ 433642178) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე



**საქართველო**  
**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის**  
**გამგეობა**



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 1676  
18/04/2016

1676-09-2-201604181805



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს**

**ბატონო გიორგი,**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგეხსენებათ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N2 შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.08.47.030) ) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ (ს/ნ 433 642178) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

### 3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

### 4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ეკონომიკისა და  
სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური

2800

ლანჩხუთი, მ.კოსტავას ქ. №37

ტელ: 593 25 71 11

N 470

15/04/2016

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
პირველ მოადგილეს ბატონ ნუგზარ ცინცაძეს

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

**ბატონო ნუგზარ,**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ გვიმბალაურში მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ( მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.08.47.030) ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებიდან N2 შენობა-ნაგებობა ესაჭიროება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრს“ (ს/კ 433 642 178) თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრთან“ გაფორმდეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსხურს სათანადო პროექტის მომზადება.

**პატივისცემით,**

გიორგი ფაცურია



სამსახურის უფროსი

ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური